



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 418

23/02/2018

ქალაქი ბათუმი

418-05-4-201802231000



მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ

„საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის №414 ბრძანებულების, „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივლისის №174 ბრძანების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ნაირა ჭელიძის 2018 წლის 09 თებერვლის №450-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. შეიქმნას მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

გ) ნაირა ჭელიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - არქივარიუსი, კურიერი - კომისიის წევრი;

დ) ომარ დუმბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

2. დაევალოს საექსპერტო კომისიას უზრუნველყოს საარქივო დოკუმენტების მოწესრიგება, დოკუმენტთა ბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტთა რაოდენობის შემცირება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტალური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა.

3. დამუშავებული საარქივო დოკუმენტარული მასალების მოვლა-პატრონობა დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტს - არქივარიუსს, კურიერს - ნაირა ჭელიძეს.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გემგებლის 2009 წლის 03 თებერვლის №19 ბრძანება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

